30 ოქტომბერს, 01.12 2023-01.11.2024 წლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრმა ნათია მოდებაძემ, მოსახლეობას მისი, როგორც პროპორციული წესით არჩეული წევრის მუშაობის ანგარიში წარუდგინა. მან ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ყველა კომისიაში დასწრებისა და განხილული საკითხების სტატისტიკაზე, ასევე, მისი ჩართულობით გამართულ სხდომებსა და განხილულ საკითხებზე. აღნიშნა, რომ ჩართულია სამი კომისიის მუშაობაში, ესენია: განათლებისა და კულტურის კომისია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების კომისია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. ასევე, ის არის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

მისი თქმით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 14 სხომა. მიღებული იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება და დეპუტატი დაესწო 13 სხდომას.

ანგარიშის წარდგენისას დეპუტატმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ წევრად მუშაობის პროცესსა და პასუხისმგებლობაზე. თქვა, რომ დღემდე გამართული კომისიის 63 სხდომიდან, დაესწრო 27 სხდომას, მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტი საკითხის განხილვაში და განხილვისას მოუსმინა 1400-მდე მოქალაქეს.

ნათია მოდებაძემ პრეზენტაციის დიდი ნაწილი ,,ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების“ კომისიაში მის მხარდაჭერილი საკითხების განხილვას დაუთმო.
ხაზი გაუსვა აღნიშნული მიმართულებით წლიურ ბიუჯეტს და თქვა, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით ბიუჯეტის 99%-ის ათვისება მოხდა, რაც კიდევ უკეთ მეტყველებს განხილული და დაფინანსებული საკითხების აქტუალობაზე. მისი თქმით, აღნიშნულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გაუწია 13 სხდომის ჩატარებას. დეპუტატის ჩართულობით ჩატარდა 12 კომისიის სხდომა და განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- დაავადებათა სკრინინგების პროგრამა;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა;
- სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 339 ბენეფიციარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა და ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, მათ შორის მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში, და ასევე, აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში, რომელიც მოიცავს მსხვილ და მნიშვნელოვან სხვადასხვა კომპონენტს.

დეპუტატმა პრეზენტაციის დროს ხაზგასმით ისაუბრა ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროცედურა საკმაოდ ძვირადღირებულია და პროგრამა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან დახმარების გაწევას ემსახურება. აღნიშნული პროგრამით ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტში ჯამში დაფინანსდა 77 შემთხვევა. ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტში 3 შემთხვევა.

საკრებულოს წევრმა ინფორმაცია წარადგინა განათლებისა და კულტურის კომისიაში მისი საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ ,,განათლებისა და კულტურის“ კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 13 სხდომა. მან თქვა, რომ საანგარიშო პერიოდში დაესწრო ყველა სხდომას და განიხილა 20 საკითხი.
მერიის ხელშეწყობით და დაფინანსებით საშუალოდ ხორციელდება 250-დან 300-მდე კულტურულ-შემეცნებითი პროექტი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 60-მდე სხვადასხვა მიმართულების ფესტივალი და კონკურსი; 45 სპექტაკლი; 50 საიუბილეო და სახელოვნებო/სასცენო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო და კონცერტი; 15-მდე გაცვლითი კულტურული პროექტი; 40-მდე სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიება; 20-მდე სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინკლუზიური პროექტი; 70-მდე საგამოფენო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიება.

ნათია მოდებაძემ კონკრეტულ პროგრამებზე ისაუბრა და თქვა, რომ „ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობის“ მიმართულების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-მდე მოსწავლემ;
„პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 11 ორგანიზაცია, 65-მდე სპეციალობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 1000-მდე ადამიანი.

„უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1000-მდე სტუდენტმა;
„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში“ დაფინანსდა 1653 სოციალურად დაუცველი სტუდენტი, ხოლო მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ 494 სტუდენტი, მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი ქალი -317, შშმ ქალი - 18; მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი კაცი -137; შშმ სტუდენტი კაცი - 22; 393 წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო ფინანსური წახალისება, მათ შორის ქალი - 275; კაცი -118.
მათ შორის:

- მედიათეკის სივრცისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის მშენებლობა;
- „ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის“ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ,,ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში შემავალი მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის“ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ სამგორის ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მანვე თქვა, რომ საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი ბიუჯეტით, გაგრძელდა თბილისის რაიონის გამგეობების მიერ მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება და ყველა ის პროგრამა და ქვეპროგრამა, რასაც გასულ წლებში მხარი დაუჭირა საკრებულომ.
ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ საკრებულოს სხვა წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.